პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 5 (11009)
სამშაბათი
7
იანვარი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ. — შ. ჯავახაძე. — გავაუმჯობესოთ მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა (მე-2 გვერდი).

გ. გელაშვილი. — კომკავშირის თბილისის საქალაქო კონფერენცია (მე-2 გვერდი).

ვ. გურგენიძე. — ხეხილის ბაღებს მზრუნველობა აკლია (მე-2 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება. — თანამედროვეობის ყალბად ამსახველი სპექტაკლი; დ. თორაძე. — გამოჩენილი მომღერალი, შესანიშნავი პედაგოგი; ა. წულუკიძე. — ქართული რომანსები ვ. დავითაშვილის შესრულებით; ა. გულისაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე. — სასარგებლო [illegible] არქიტექტორებისა და მშენებლებისათვის (მე-3 გვერდი).

ი. ტაბაღუა. — [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

ადგა ახალი სამეურნეო წელი — მეექვსე ხუთწლედის მესამე წელი. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასულ წელს ახალი, შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს უხვი მოსავლის მოყვანის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ბრძოლაში.

თვალსაჩინოდ გადიდდა სოფლის მეურნეობის აღჭურვა უახლესი პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. მოპოვებულია ახალი წარმატებანი კოლმეურნეობის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

საკოლმეურნეო შემოსავლის ზრდა საშუალებას იძლევა კოლმეურნეობებმა გამოჰყონ დიდი თანხები საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებისათვის, გაადიდონ შრომადღის ღირებულება. ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც ჩაის, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა საგრძნობლად გაადიდეს, თვითეულ შრომადღეზე ფულად 34 მანეთს მიიღებენ. ასეთივე მდგომარეობაა მახარაძის რაიონის სოფლების ნატანების, ძიმითის; ზუგდიდის რაიონის სოფლების რუხის, ახალსოფლის და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

სამეურნეო წელი კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშის შედგენით მთავრდება. წლიური ანგარიშის შესადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის მატერიალურ ფასეულობათა წარმოებისა და ფულად საშუალებათა ინვენტარიზაციის სწორად ჩატარებას. კოლმეურნეობებში არ უნდა იყოს დებიტორული დავალიანება, ისეთი შემთხვევები, რომ წევრებს მიღებული არა ჰქონდეთ შრომადღეებზე კუთვნილი მარცვლეული და ფული. საწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში ამ მხრივ სერიოზულ დარღვევებს ვხვდებით. მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში დებიტორული დავალიანება 120 ათას მანეთს აღწევს. არასწორი ავანსირების შედეგად კოლმეურნეებზე ზედმეტად გაცემულია 40 ათას მანეთამდე, ხოლო კოლმეურნეებს ნ. ჭრელაშვილს, მ. აბულაძეს, ნ. ჭრელაშვილს და სხვებს 1956 წლის გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფული არა აქვთ მიღებული. სულ რაიონში დებიტორული დავალიანება 1.778 ათას მანეთს აღწევს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა სიღნაღის, ახალქალაქის, ზუგდიდის რაიონებში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები და შემდგომში არ დაუშვან მსგავსი რამ.

სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ ყოველ კოლმეურნეობაში გაიმართება საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო არტელების ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ფართოდ უნდა გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა. არ უნდა დავინდოთ ისინი, ვინც ხელს აფათურებს საკოლმეურნეო ქონებაში ან უდარდელად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება საზოგადოებრივ დოვლათს. აუცილებელია კოლმეურნეებს წინასწარ ფართოდ გავაცნოთ კრების მნიშვნელობა. მათ რამდენიმე დღით ადრე უნდა იცოდნენ კრების მოწვევის დრო, ადგილი და დღის წესრიგი.

უნდა ვიცოდეთ, რომ საერთო კრება წარმოადგენს კოლმეურნეობის უმაღლეს ორგანოს. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველგან ეწყობოდეს საკოლმეურნეო დემოკრატიის მტკიცედ ეაცვით. უნდა გვახსოვდეს, რომ კრებების კარგად მომზადება და ჩატარება, წლიური ანგარიშების დროულად შედგენა, მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილება ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო დოვლათის ზრდას.

მთელი მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები დამთავრდეს არა უგვიანეს 20 თებერვლისა. პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარე ე ბ ი მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ კრებების მაღალ პოლიტიკურ დონეზე მოწყობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მოლოცვაში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! საბჭოთა ქვეყანა ახალ წელიწადში ძალღონით აღსავსე შედის. საბჭოთა ადამიანები აღსავსენი არიან იმის იმედით, რომ 1958 წელი ახალ წარმატებებს მოუტანს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს მტკიცე რწმენით შევყურებდეთ მომავალს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ, რათა ახალი წელი მშვიდობიანი შრომის წელი იქნეს ყველა ხალხისათვის, რათა ჩვენმა ხალხმა ამ წელს ახალი და ახალი წარმატებანი მოიპოვოს თავისი სანუკვარი მიზნის — კომუნიზმის აშენების განხორციელებაში“.

1958 წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ეტაპის — საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. საჭიროა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დაისახოს თესვისათვის საუკეთესოდ მომზადების პრაქტიკული ღონისძიებანი. კონდიციური თესლით მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საკოლმეურნეო ინვენტარის დროულად შეკეთება, სასუქების დამზადება, მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება — ყველა ეს საკითხი კრებებზე გულდასმით მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ავსტრალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

4 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. ნ. პონომარიოვმა და ავსტრალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელშიც შედიან ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ტ. რ. დიქსონი და ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ტ. ლ. შარკი.

საუბარი გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 და 35 მუხლებისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24, 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 4 იანვრის ბრძანებულებებით შეიქმნა კავშირის საბჭოს არჩევნების 731 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 633 საარჩევნო ოლქი. (საკდესი).

სკოლიდან — წარმოებაში

ახალგაზრდები სამუშაოდ მიდიან კოლმეურნეობებში

— სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში სამუშაოდ მიღების შესახებ. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელების საქმეს.

— რაიონში მრავალი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გვყავს, — თქვა ამხ. სეხნიაშვილმა, — რომლებმაც შრომა შეიყვარეს, კოლმეურნეობებში ბეჯითად შრომობენ და გარკვეული წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ციალა ლილუაშვილი. მან 1956 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, მაშინვე დაიწყო მუშაობა სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში და გამოიმუშავა 172 შრომადღე, ხოლო 1957 წელს — 124 შრომადღე.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მერი ქიტაშვილმა ამავე კოლმეურნეობაში მწველავად მუშაობა ისურვა. იგი უკვლის ათ ძროხას. გასულ წელს თვითეულ ძროხაზე მიიღო 4.500 კილოგრამი რძე. ახალგაზრდა წყალობა ლაშაური მოწინავე მწყემსია. მას 1957 წელს გამომუშავებული აქვს 429 შრომადღე. ანეტლინა პავლიაშვილმა საშუალო სკოლა დამთავრა 1957 წელს. მან მუშაობა დაიწყო სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში, გამოიმუშავა 287 შრომადღე. მის მაგალითს მიბაძა ზაირა ბაშარულმა. იგი ღორების საუკეთესო მომვლელად ითვლება.

იზრდება საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა სწრაფვა კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

დაზგები გვიხმობენ...

თბილისის ლენინის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში და ახალშენებლობებზე გასულ სამეურნეო წელს 300-ზე მეტი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოვიდა სამუშაოდ. ახალგაზრდობას განსაკუთრებით იზიდავს ქარხანა „ელექტროგამშვები“. აქ 100-ზე მეტ კომკავშირელს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საწარმოო წარმატებათა მოპოვებაში. მათ შორის არის თბილისის მეშვიდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსმედალოსანი მზია სირბილაძე. მზია არა მარტო სკოლაში იყო მოწინავე, მან საწარმოშიც გამოიჩინა თავი, იგი სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

აღნიშნულ საწარმოში მაღალნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელები გ. რუსიშვილი, ვ. შარაძენიძე, ჯ. დემეტრაშვილი, ნ. გველესიანი და სხვები.

საწარმოებში სამუშაოდ წასულ ახალგაზრდებს ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი ბაძავს. ლენინის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივნის ოთახში ახალგაზრდები შეკრებილან. მათ საშუალო სკოლა დამთავრეს და სურვილი აქვთ წარმოებაში იმუშაონ. საგზური უკვე მიიღო დ. ბაგაევმა, გ. ბაქრაძემ, გ. ნარიმანიძემ, რ. ელერაშვილმა. მათ გარს ეხვევიან ამხანაგები და შრომითს ახსარეზზე გამოსვლას ულოცავენ.

გულისხმიერად შეეხვდეთ ახალგაზრდებს საწარმოებში, შეეუქმნათ მათ შრომისა და ყოფაცხოვრების საუკეთესო პირობები.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ოჯახებისთვის და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ კურსკში გერმანელ ფაშისტთა ჯარების სამამარი მასალების საწყობის განაღმვასა და ლიკვიდაციაში

დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ დანაღმული სამამარი მასალების საწყობის ლიკვიდაციის შესახებ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან თავდადების, მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის **დაჯილდოვდნენ:**

ოქროსფერი ვარსკვლავის ორდენით

1. სერჟანტი **გოლუბენკო** ვასილ ივანეს-ძე
2. კაპიტანი **გორელიკი** ეფიმ ხაიმის-ძე
3. პოლკოვნიკი **დიასამიძე** მიხეილ სტეფანეს-ძე
4. ლეიტენანტი **ივაშჩენკო** ვიქტორ ივანეს-ძე
5. რიგითი **მარგიშვილი** დიმიტრი ივანეს-ძე
6. უმცროსი სერჟანტი **მახალოვი** ივანე არკადის-ძე
7. უფროსი ლეიტენანტი **პოროტკოვი** გიორგი მიხეილის-ძე
8. რიგითი **სოლოდოვნიკოვი** ნიკოლოზ მაკარის-ძე
9. ზემდეგი **ტიურინი** მიხეილ პავლეს-ძე
10. რიგითი **ურუშაძე** გურამ სერაპიონის-ძე
11. რიგითი **ხაიმოვი** კამილი.

მედლით მამაცობისათვის

1. რიგითი **ბოჩაროვი** ივანე ვასილის-ძე
2. ლეიტენანტი **სელივანოვი** ანატოლი ანტონის-ძე
3. რიგითი **ჩეკრიგინი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე
4. **შერგუნოვი** ნიკოლოზ სიმონის-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1958 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1958 წლის 28 იანვარს ქ. მოსკოვში.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ტარასოვი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ი. ზიმინი.

მოსკოვი, 1958 წლის 4 იანვარი.

ქართველი ინჟინრების ჯგუფი ხარკოვში

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან

2 იანვარს ხარკოვში ჩავიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ინჟინერთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს მანქანათმშენებელი და ელექტრომშენებელი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. გ. ბოლქვაძე. დელეგაციის მიზანია გაეცნოს იმ საწარმოთა კოლექტივების გამოცდილებას, რომლებიც საკუთარი ძალებით აშენებენ საცხოვრებელ ბინებს.

ქართველ ინჟინერთა ჯგუფმა ინახულა ხარკოვის ზოგიერთი საწარმო, რომლებსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ, დაწვრილებით გაეცნო შრომის ორგანიზაციას, სამშენებლო მოედნებსა და საწარმოებში მათ შეაგროვეს ძვირფასი მასალა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგება. გამოირკვა, რომ გასულ წელს საკუთარი ძალებით, სახალხო მშენებლობის მეთოდით ხარკოვის საწარმოთა კოლექტივებმა აშენეს 100 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ფართობი. წელს განზრახულია აშენდეს ორჯერ მეტი.

ხარკოვში სამი დღის ყოფნის შემდეგ ქართველი ინჟინრები გაემგზავრნენ ქალაქ გორკში, სადაც გაეცნობიან გორკელთა გამოცდილებას კოლექტიურ ბინათმშენებლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 633 საარჩევნო ოლქი, აქედან

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

126. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქ. სოხუმი და რაიონები: გაგრისა და გუდაუთისა.

127. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქ. ტყვარჩელი და რაიონები: სოხუმის, ოჩამჩირისა და გულრიფშისა.

128. ფოთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ფოთი). ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: ცხაკაიისი, ხობისა და აბაშისა.

129. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზუგდიდი). რაიონები: ზუგდიდის, გალისა და მესტიისა.

130. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დ. გეგეჭკორი). რაიონები: გეგეჭკორის, ჩხოროწყუსი, წალენჯიხისა და წულუკიძისა.

131. მახარაძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. მახარაძე). რაიონები: მახარაძის, ქობულეთისა და ჩოხატაურისა.

132. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი). ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ხულოსი და შუახევისა.

133. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სამტრედია). რაიონები: სამტრედიის, ლანჩხუთისა და ვანისა.

134. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზესტაფონი). რაიონები: ზესტაფონის, თერჯოლისა და მაიაკოვსკისა.

135. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ქუთაისი). ქ. ქუთაისი და რაიონები: ქუთაისისა და წყალტუბოსი.

136. ამბროლაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დ. ამბროლაური). რაიონები: ამბროლაურის, ტყიბულის, ონის, ცაგერისა და ლენტეხისა.

137. ჭიათურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ჭიათურა). ქ. ჭიათურა და რაიონები: ჭიათურის, ორჯონიკიძისა და საჩხერისა.

138. ხაშურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ხაშური). რაიონები: ხაშურის, ბორჯომისა და ქარელისა.

139. ახალციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ახალციხე). რაიონები: ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკისა.

140. მცხეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. მცხეთა). რაიონები: მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრი წყაროსი და თიანეთისა.

141. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გორი). ქ. გორი და რაიონები: გორისა და კასპისა.

142. სტალინირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სტალინირი). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

143. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო). ქ. თბილისის რაიონები: ორჯონიკიძისა და კალინინისა.

144. თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო). ქ. თბილისის რაიონები: კიროვის, გარეუბნისა და წალკის სასოფლო რაიონი.

145. თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო). ქ. თბილისის რაიონები: სტალინისა და ოქტომბრისა.

146. თბილისის — 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო). ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი და საგარეჯოს სასოფლო რაიონი.

147. თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო). ქ. თბილისის ლენინის რაიონი და სასოფლო რაიონები: დმანისისა და ბოლნისისა.

148. თელავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თელავი). რაიონები: თელავის, ყვარლის, ახმეტისა და გურჯაანისა.

149. სიღნაღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სიღნაღი). რაიონები: სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროსი და კაჭრეთისა.

150. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. რუსთავი). ქ. რუსთავი და რაიონები: გარდაბნისა და მარნეულისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 633 საარჩევნო ოლქი, აქედან

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში:

376. გაგრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გაგრა). გაგრის რაიონი (ქ. გაგრა და სასოფლო საბჭოები: მიხელრიფშის, ნაკადულის, ხაშუფსის, ხოლოდნაია რეკის, ბაღნარის, განთიადისა და ღესელიძისა).

377. კალდახვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ს. კალდახვარა). რაიონები: გაგრის (სასოფლო საბჭოები: ლძაანის, ბზიფის, ალსახაძის, კოლხიდის) და გუდაუთისა (სასოფლო საბჭოები: აგარაკის, კალდახვარის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიფშის, ლიხნის, ბარმიშის, ხოფის, ახალსოფლისა და დურიფშის).

378. გუდაუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გუდაუთა). გუდაუთის რაიონი (ქ. გუდაუთა და სასოფლო საბჭოები: აბლარუქის, აცის, ანუხვის, აჭანდარის, პრიმორსკოეს, ყულანურხვის, მწარის, ფსირცხისა და სადაბო საბჭო ახალი ათონი).

379. სოხუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქ. სოხუმის მარცხენა ნაწილი ლენინისა და ზარათაშვილის ქუჩებიდან.

380. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქ. სოხუმის მარჯვენა ნაწილი ლენინისა და ზარათაშვილის ქუჩებიდან.

381. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). სოხუმის რაიონი.

382. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. დრანდა). გულრიფშის რაიონი.

383. ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე). ოჩამჩირის რაიონი (ქ. ოჩამჩირე და სასოფლო საბჭოები: აძუბჟის, არაკიჩის, ათაარის, სოსნური ათარის, ჯგერდის, ქოჩარის, კვიტოულის, ახალკინდღის, კინდღის, ტამშის, ლაბრისა და არადუსისა).

384. ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე). ოჩამჩირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: მოქვის, ჭლოუს, ბესლახუნის, ტყვარჩელის, ილორის, ოხურეს, ფოქვეშის, თხინის, ოტაფის, არასადინის, გუფის, აგუ-ბედიისა და რეკის) და გალის რაიონი (სასოფლო საბჭოები: გუდავის, აჩიგვარის, ზედიის, ჩხორთოლის, ოქუმის, მუხურისა და წარჩის).

385. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ტყვარჩელი). ქ. ტყვარჩელი.

386. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გალი). გალის რაიონი (ქ. გალი და სასოფლო საბჭოები: რეფოშუშელეთის, ქვემო ბარღების, ზემო ბარღების, ოტობაიის, ფიჩორის, ნამაკვეის, თაგილონის, სიდის, განახლების, ჭუბურხინჯის, საბერიოს, ღეკუხონის, რეჩხი-ცხირის, დიხაზურგის, ღუმურიშის, პირველგალისა და მზიურის).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 633 საარჩევნო ოლქი, აქედან

აჭარის ასს რესპუბლიკაში:

387. ბათუმის — შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი). ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — ზღვისპირის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ზღვის ნაპირი.

388. ბათუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი). ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები, ზღვის ნაპირი რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე და ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები.

389. ბათუმის — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქ. ბათუმი). ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — ზღვისპირის ქუჩა, ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები, ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე, ქალაქის ხაზი.

390. ბათუმის ზღვისპირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი). ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — ფრუნზეს ქუჩის კენტი ნომრები (ჩოგლით), ზღვის ნაპირი, ქალაქის ხაზი.

391. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ქობულეთი). ქობულეთის რაიონი (ქ. ქობულეთი, დაბა ოჩხამური და სასოფლო საბჭოები: მუხაესტატეს, ლეღვას, ქაქუთის, ქობულეთის, ჭახათისა და ამყვისთავის).

392. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი). ქობულეთის რაიონი (დაბა ჩაქვი და სასოფლო საბჭოები: ხალას, ბობოყვათის, კვირიკეს, ხუცუბნის, ციხისძირისა და ულიანოგკის).

393. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ხელვაჩაური). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ხელვაჩაურის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყლის, კირნათის, აჭარის აღმართისა და სარფის).

394. ურეხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ურეხი). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ურეხის, ახალშენის, ჩაისუბნის, მახინჯაურისა და კახაბრის).

395. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ქედა). ქედის რაიონი.

396. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ხულო). ხულოს რაიონი.

397. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. შუახევი). შუახევის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 633 საარჩევნო ოლქი, აქედან

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში:

619 სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სტალინირი). ქ. სტალინირი.

620. სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სტალინირი). სტალინირის რაიონი.

621. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ზნაური). ზნაურის რაიონი.

622. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ლენინგორი). ლენინგორის რაიონი.

623 ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფ. ჯავა). ჯავის რაიონი.

საკდესის ცნობა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 21 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად და ხელმძღვანელობს რა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკით და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გულწრფელი მისწრაფებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ 300 ათასი კაცით, გარდა იმისა, რომ 1955-56 წლებში უკვე განხორციელდა მათი შემცირება 1 მილიონ 840 ათასი კაცით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გამოყვანილ იქნებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე და დაიშლებიან ჯარის ნაწილები და შენაერთები 41 ათას კაცზე მეტი საერთო რიცხვით. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან გამოყვანილ იქნებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე და დაიშლებიან ჯარის ნაწილები და შენაერთები 17 ათას კაცზე მეტი საერთო რიცხვით.

დგამს რა ამ ნაბიჯს ცალმხრივი წესით, განიარაღების შესახებ საერთო შეთანხმების მიღწევამდე, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ იგი არის ახალი სერიოზული წვლილი სახელმწიფოთა ურთიერთობაში და

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ

გავაუმჯობესოთ მრეწველობისადმი პარჯიული ხელმძღვანელობა

ოთხასამდე სახეობის პროდუქციას ამზადებენ ქუთაისის საწარმოები. მრეწველობის ზოგიერთი დარგის პროდუქცია იგზავნება როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები თავდადებით მუშაობენ იმისათვის, რომ სრულად გამოიყენონ არსებული რეზერვები, ის ხელსაყრელი პირობები, რაც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შედეგად შეიქმნა.

ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, რის შედეგად ქალაქის მრეწველობამ ვადამდე — 18 დეკემბრისათვის შეასრულა 1957 წლის დავალება. მოწინავე სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალება და ჯერ კიდევ 28 დეკემბრისათვის ქუთაისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის, ქვეყანას მისცეს 40 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას. საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ავტომანქანების კონსტრუქციის გაუმჯობესებისათვის, ახალი ტიპის ავტომობილებისა და ძრავების შექმნისათვის. დამზადებულია სამმბრივ თვითსაცლელი ავტომანქანა „კაზ-602", რომლის გამოცდამ კარგი შედეგი გამოიღო. დამუშავებულია ახალი, შემსუბუქებული კონსტრუქციის ძარა „კაზ-585" თვითსაცლელი ავტომანქანისათვის. მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა საშახტო ელმავლებისა და რედუქტორების წარმოება.

მაგრამ ქალაქის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლია, რომელთა გამოსწორება პარტიული, ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებასა და მასებში ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას მოითხოვენ. სწორედ ამ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებზე გაამახვილეს ყურადღება ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტაკიძემ და კამათის მონაწილე დელეგატებმა.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, წარმატებით მრეწველობაში მიღწეულია მოწინავე საწარმოთა ხარჯზე. ფაქტიურად 54 სამრეწველო საწარმოდან დავალებას ვერ ასრულებს 10. ამასთან ზოგიერთ იმ საწარმოშიც, სადაც პროდუქციის გამოშვების საერთო დავალება გადამეტებით შეასრულეს, პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები დასჯერდნენ საქმის ერთ მხარეს — რაოდენობრივ მაჩვენებლებს და დაიჭიწყეს ბრძოლა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით დავალების შესრულებისათვის.

კვლავ ცუდად, გაუმართავად მუშაობს საავტომობილო ქარხნის № 2 სამსხმელო საამქრო. საამქროს თერთმეტი თვის დავალება მხოლოდ 70 პროცენტით შეასრულა და ქარხანას 7 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია დააკლო. ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის გამო მარტო ამ საამქროში ამ პერიოდში გამოშვებულია 5.636 ათასი მანეთის წუნი და გადახარჯულია 1.459 ტონა ლითონი, მართალია, ქარხანამ ავტომანქანების გამოშვების დავალება გადამეტებით შეასრულა, მაგრამ ვერ უზრუნველყო ნომენკლატურის დაცვა. 1957 წლს ძრავების გამოშვების თერთმეტი თვის დავალება

ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

შესრულებულია 73,6 პროცენტით, ხოლო სათადარიგო ნაწილების გამოშვებისა — 91,3 პროცენტით. ასევე მანქანათმშენებელმა ქარხანამ ვერ შეასრულა საშახტო ვაგონეტებისა და ელმავლების გამოშვების, ხოლო ლიტოპონის ქარხანამ ძირითადი პროდუქციის — ლიტოპონის გამოშვების დავალება.

ილაპარაკეს რა საავტომობილო ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, კონფერენციის დელეგატები — ქარხნის დირექტორი შ. კიკნაძე და ნოვატორი ამწყობი ი. ხაზარაძე დაწვრილებით შეჩერდნენ ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, ავტომობილმშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე. ქარხანაში ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას და დანერგვას, არ ეწყობა წარმოების ნოვატორთა შეხვედრები ახალგაზრდა მუშებთან. საბინაო პირობების მოუგვარებლობის გამო დიდია ნუშათა დინდობა, ხშირია შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტმა ვერ უზრუნველყო საცხოვრებელი სახლების, კლუბისა და სხვა ობიექტების დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცმა. საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნაკლებ ინტერესს იჩენს ავტომობილმშენებელთა დაბის საჭიროებებისადმი.

მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა თ. ღობრაძემ ილაპარაკა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებებზე. მან თქვა, რომ საწარმოში მოკლე ხანში განხორციელდა მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1957 წლის თერთმეტ თვეში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებულია 700 ათასი მანეთი წლიური ეკონომია.

— აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა, ერთსულოვნად მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებანი, — თქვა კომბინატის მქსოველმა გ. ზავალიშინამ, — კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა მეტი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილებისათვის. ფეიერკრემა სამშობლოს მისცეს 10 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ამასთან საგრძნობლად გაადიდეს პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება. კომბინატის კოლექტივის შეიძლო უკეთესი წარმატებები მოეპოვებინა, რომ კვლავ დიდი არ იყოს დაზგა-დანადგარების მოცდენები. 200-მდე ფეიერი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. კომბინატში ძველი სისტემის 400-ზე მეტი საქსოვი დაზგაა, ამასთან ალარ მზადდება მათი სათადარიგო ნაწილები. საჭიროა ეს მდგომარეობა გაითვალისწინონ და დაზგების პარკის განახლებისათვის იზრუნონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისმა საფეიერო მრეწველობის სამმართველომ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ პ. ჩხობაძემ, № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის მმართველმა კ. მორეტიმ, სამრეწველო კომბინატის დირექტორმა გ. რუხაძემ ილაპარაკეს საბინაო მშენებლობის, საქალაქო მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გადაუდებელ საკითხებზე. მათ აღნიშნეს, რომ გადაჭრით უნდა დაჩქარდეს საბინაო მშენებლობის ტემპი, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გაფართოების სამუშაოები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ პარტიული ორგანიზაციები სწორად წარმართავენ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, გადაჭრით აამაღლებენ კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა მშრომელის აღზრდის დონეს. სწორედ ამ საკითხებზე შეჩერდნენ თავიანთ გამოსვლებში დელეგატები — რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. მეგრელიშვილი, სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ი. შვანგირაძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ბარათაშვილი, პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ვ. ირემაძე, პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ჯავლიძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში შ. კერესელიძე, მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ი. გენძეხაძე და სხვები.

როგორც მათი გამოსვლებიდან გამოირკვა, მიმდინარე სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს კომუნისტების პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისა და მისი იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის. გაიზარდა კადრების ინტერესი ეკონომიური თეორიის, კონკრეტული ეკონომიის შესწავლისადმი. ამასთან პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლად რჩება ის, რომ ცალკეულ წრეებსა და პოლიტსკოლებში (ტროლეიბუსის სამმართველოს, ტრესტ „საქმიდროეენერგომშენის" ქუთაისის საწარმო კომბინატის და სხვ. პარტიული ორგანიზაციები) მეცადინეობა მსმენელთა დაბალი აქტივობით ეწყობა, თეორიის შესწავლა მჭიდროდ არ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ. ილაპარაკა რა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ ამოცანებზე, მან კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მრეწველობის მთელ რიგ გადაუდებელ საკითხებზე. სახელმწიფო გეგმა კანონია და მას უნდა ასრულებდეს უკლებლივ ყველა საწარმო, თქვა ამხ. ქადაგიძემ. მაგრამ ქუთაისში არიან ჩამორჩენილი საწარმოები. თვით ზოგიერთი მოწინავე საწარმოც ვერ უზრუნველყოფს დავალების შესრულებას დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით. სასიხარულოა, რომ თაბისი არსებობის მანძილზე საავტომობილო ქარხანამ 1957 წელს პირველად შეასრულა პროდუქციის გამოშვების დავალება და ქვეყანას ასობით ავტომანქანა მისცა გეგმის გადამეტებით. მაგრამ ცუდია, რომ ქარხნის კოლექტივმა ქვეყანას მილიონობით მანეთის სათადარიგო ნაწილები და ასობით ძრავა დააკლო. ხოლო ყოველივე ეს არანაკლებ სჭირდება ჩვენს სახალხო მეურნეობას. პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ უნდა შეურიგდნენ ასეთ სერიოზულ ნაკლს, მათ ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ საქმის ამ მხარეს და შეუპოვრად იბრძოლონ იმისათვის, რომ ქალაქში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, რომ სახელმწიფო გეგმები სრულდებოდეს დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით.

კონფერენციაზე კამათში გამოვიდა 23 კაცი. დელეგატებმა წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის, რამაც ასახვა ჰპოვა მიღებულ რეზოლუციაში.

* * *

შედგა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. ტაკიძე, მეორე მდივნად — ამხ. შ. კობახიძე, მდივნად — ამხ. ს. ფხაკაძე.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

თბილისის საელმავლო დეპოს ზეინკალი ი. კუსრაევი ენერგიულად შრომობს, რათა ახალი მიღწევებით შეხვდეს საქართველოს კომპარტიის მორიგ ყრილობას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. მოწინავე ზეინკალი ყოველდღიურ დავალებებს 800-850 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ზეინკალი ი. კუსრაევი ამოქლონებს გოგორწყვილების კბილანურ გადამცემს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალი წლიდან — ახალი ჩარხები

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო რაიონებში გაიგზავნა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მიერ 1958 წელს დამზადებული უახლესი ტიპის მაღალი წარმადობის პირველი ჩარხები. ქარხნის კოლექტივმა ახალი სამეურნეო წელი წარმატებით დაიწყო. მრანდავები, მდარავები, ზეინკლები, მბურღავები ენერგიულად შრომობენ ახალი ჩარხების ათვისებასა და დამზადებაზე.

მტკიცდება ქარხნის ტექნიკური ბაზა. მექანიკური და ამწყობ საამქროებში ამონტაჟებენ ახალ დანადგარებს, რომ ჩარხები ნაკადური წესით დაამზადონ. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ შრომაში მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, ზეინკალი ნ. ხონდოლიშვილი, ხარატი ა. აგაჯანოვი, მბურღავი გ. ძაძამია.

1958 წლიდან ქარხანა საბჭოთა კავშირის საწარმოებს მიაწვდის მხოლოდ უახლესი ტიპის ჩარხებს. ათვისების პროცესშია ჩარხი ტტ-46, რომელიც ფართო გამოყენებას პპოვებს ნავთობის მრეწველობაში. საწარმოო შემოწმებას გადის ჩარხების ტტ-56-ისა და ტტ-57-ის საცდელი ნიმუშები.

ძველი მოდელის ჩარხის 1-დ-63 ნაცვლად ქარხანა ამზადებს ახალ სახარატო ჩარხს 163-ა-ს, რომელიც გაცილებით მაღალი წარმადობისაა, უფრო კარგად ამუშავებს დეტალს, ამასთან ადვილად სამართავია და საგრძნობლად ამსუბუქებს ხარატის შრომას. ქარხნის კოლექტივი მალე შეუდგება ამ ჩარხის სერიულ გამოშვებას.

უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ წყალტუბოს წყლები

წერილი რედაქციას

კურორტი წყალტუბო უდიდესი მნიშვნელობის სამკურნალო კერაა. დიდია მშრომელთა მოთხოვნილება წყალტუბოს წყლით მკურნალობაზე. სამწუხაროდ, ამჟამად კურორტის გამტარუნარიანობა საშუალებას არ იძლევა დაკმაყოფილებულ იქნას ყველა მშრომელი, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და კურორტთა სამმართველოს მუშაკების მოვალეობაა ყოველნაირად გააფართოონ, უფრო ეფექტიანი და რაციონალური გახადონ წყალტუბოს წყლებით მკურნალობა. ბუნებრივი იყო, რომ ამ საკითხით დაინტერესდნენ არა მარტო მედიცინის, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებიც: ფიზიკოსები, ბიოფიზიკოსები, ქიმიკოსები და ა. შ. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია ფიზიკის წვლილი ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში, მათ შორის მედიცინაშიც; ამიტომ ფიზიკოსთა ღირსების საქმეა თავიანთი წვლილი შეიტანონ კურორტ წყალტუბოს მინერალური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენებაში.

ამ საქმეში უმთავრესად მიგვაჩნია წყალტუბოს მინერალური წყლების მიყვანა ავადმყოფამდე (სანატორიუმში) ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შენარჩუნებით. ეს, უეჭველია, რაციონალურს გახდის წყალტუბოს წყლებით მკურნალობას, რადგან ავადმყოფები წლის მთელ პერიოდში სანატორიუმიდან გამოუსვლელად ადგილზე მიიღებენ აბაზანებს და მათზე ცუდი კლიმატური პირობები (სიცხე, წვიმა, ყინვა, ქარი) უარყოფითს გავლენას ვერ მოახდენს. ასეთი მკურნალობა მეტისმეტად ეფექტიანი იქნება როგორც აბაზანების მიმღებ ავადმყოფთათვის, ისე მომსახურე პერსონალისათვის. ამავე დროს აბაზანების მიღების ასეთი მეთოდი განტვირთავს კურორტ წყალტუბოს ტრანსპორტით გამოწვეული ზედმეტი ხარჯებისაგან, თავიდან აცილებული იქნება აბაზანებამდე მძიმე ავადმყოფთა ორთვალებით გადაყვანის საჭიროებაც.

იბადება კითხვა, შესაძლოა თუ არა წყალტუბოს მინერალური წყლების სანატორიუმებში გადაქაჩვა მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შენარჩუნებით? ქიმიური თვალსაზრისით ეს საკითხი ჯერ კიდევ 1937 წელს შეისწავლა კურორტოლოგიის ინსტიტუტის ქიმიურმა ლაბორატორიამ. დადგენილ იქნა, რომ 200-300 მეტრ მანძილზე წყლის გადაქაჩვისას მისი შემადგენლობა უცვლელი რჩება. ამის საფუძველზე მაშინ კურორტოლოგიის ინსტიტუტმა № 1 სანატორიუმში მოაწყო საცდელი ინდივიდუალური აბაზანა, სადაც წყლის გადაქაჩვას აწარმოებდნენ 250 მეტრი მანძილიდან. მაგრამ რადგან წყლის საქაჩი მილები მიწაში ღრმად არ იყო ჩაფლული, ცუდი ამინდის დროს საჯდელ აბაზანაში გადაქაჩული წყლის ტემპერატურა საგრძნობლად (8-10 გრადუსით) დაეცა. ამიტომ საცდელი აბაზანა მუშაობდა მხოლოდ ზაფხულობით.

1949 წელს საცდელ აბაზანაში გადაქაჩული წყლის ფიზიკური თვალსაზრისით შესწავლისათვის ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ყველა ფიზიკური თვისება, გარდა ტემპერატურისა, უცვლელი რჩება არა მარტო კურორტის ფარგლებში, არამედ კურორტიდან ათობით კილომეტრ მანძილზეც თანამედროვე თერმოიზოლაციის ტექნიკის გამოყენების საშუალებით, რომლის მოწყობა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამის შესახებ რამდენჯერმე დაიწერა პრესაშიც. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ წყლის გადაქაჩვა — ეს — ეს ეს — ეს — ეს —

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

გამოჩენილი მომღერალი, შესანიშნავი პედაგოგი

დღეს, 7 იანვარს, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს დავით იასონის-ძე ანდღულაძის დაბადების 60 წელსა და სცენიური მოღვაწეობის 35-ე წლისთავს.

დ. ანდღულაძეს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა საოპერო თეატრის გამოჩენილ მომღერალთა შორის. მისი სახელი, რომელიც ფართოდ ცნობილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც, დიდი პოპულარობითა და მსმენელთა სიყვარულით სარგებლობს. რეალისტური ვოკალური სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა დ. ანდღულაძემ შექმნა უაღრესად მართალი, ცხოვრების სწორად ამსახველი და ამაღელვებელი სცენიური სახეები.

დ. ანდღულაძე დაიბადა 1897 წელს, მონავალი მსახიობის მუსიკალური ნიჭის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ოჯახურმა წრემ. საქართველო სიმღერის ქვეყანაა. სიმღერა ხშირად გასმოდა დათიკოს მშობლების სახლშიც. ბავშვი დაკვირვებით უგდებდა ყურს სიმღერებს, ღრმად ითვისებდა მათი მელოდიების სილამაზეს. ამ სიმღერებიდან იგი პატარაობიდანვე გაეცნო თავისი ხალხის გმირულ წარსულს, მის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ხშირად თვითონაც მღერადა და ყველას აოცებდა თავისი დიდი მუსიკალობით.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა შეწყვიტა ახალგაზრდის მშვიდობიანი ცხოვრება. იგი მობილიზაციით გაიწვიეს და ფრონტზე გაგზავნეს. დემობილიზაციის შემდეგ დ. ანდღულაძე დასახლდა ბათუმში, სადაც დაიწყო მუშაობა განათლების კომისარიატში. ამ დროიდან იწყება მისი სერიოზული მეცადინეობა ვოკალურ ხელოვნებაში.

ბათუმში არსებობდა საოპერო სტუდია. მას ხელმძღვანელობდა მომღერალი ე. ა. ვერონსკი, რომელიც დიდხანს გამოდიოდა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე. ვერონსკიმ ყურადღება მიაქცია დ. ანდღულაძის მშვენიერ ხმას და წინადადება მისცა მას შესულიყო სტუდიაში. ასე დაიწყო ახალგაზრდა მომღერლის ცხოვრება ხელოვნებაში. ეს იყო 1922 წელს. ორი წლის შემდეგ — 1924 წელს სტუდია თბილისში გადავიდა და მასთან ერთად გადავიდა თბილისში დ. ანდღულაძეც. ახალგაზრდა მომღერალს ისეთი დიდი წარმატებები ჰქონდა, რომ გადაწყდა მიეცათ მისთვის დებიუტი ოპერის თეატრში. დებიუტი შედგა 1926 წლის 12 თებერვალს. მიდიოდა ვერდის ოპერა „ბალმასკარადი“, რომელშიც დებიუტანტი ასრულებდა რიჩარდ ვარვიკის პარტიას. ამ პარტიას ახალგაზრდა მომღერალი ამზადებდა ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, სახის დრამატულ მხარეზე იგი მუშაობდა სანდრო ახმეტელთან.

წარმატებით აღფრთოვანებული დ. ანდღულაძე კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუდგა სხვა როლების მზადებას და იმავე 1926 წლის 1 აპრილს კოტე მარჯანიშვილის საოპერო სტუდიაში, რომელიც მაშინ არსებობდა, შეასრულა კანიოს პარტია ლეონკავალოს „ჯამბაზებში“. ეს პარტია შემდეგ მჭიდედ შეეიდა ნიჭიერი მომღერლის რეპერტუარში. მისი შემდეგი ახალი პარტიები იყო: რადამესი (ვერდის „აიდა“), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“) და აბესალომი ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“.

მიუხედავად წარმატებისა, დ. ანდღულაძემ გადაწყვიტა სრულეყო თავისი განათლება თეატრალური ხელოვნების დიდი რეფორმატორის კ. ს. სტანისლავსკის საოპერო სტუდიაში. ამ მიზნით იგი 1927 წელს გაემგზავრა მოსკოვში და წარმატებით ჩაბარა გამოცდები სცენიურ ოსტატობაში. კონსტანტინე სერგის-ძემ, რომელიც შესასწავლ გამოცდებს ესწრებოდა, დავით ანდღულაძის მიერ შესრულებული სცენიური ეტიუდი რომ ნახა, შესძახა: „მჯერა, მჯერა, ყოჩაღ ქართველო!“.

კ. ს. სტანისლავსკის საოპერო სტუდიაში დ. ანდღულაძე მღეროდა ლენკოს (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე“) ცრუდიმიტრის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), რუდოლფის (პუჩინის „ბოჰემა“) პარტიებს და უშუალოდ კ. სტანისლავსკის ხელმძღვანელობით დაიწყო გერმანის როლის მომზადება ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“.

სტანისლავსკის სტუდიაში დ. ანდღულაძემ სულ ორ წელიწადს დაჰყო. თვითეულ პარტიაზე მუშაობისას, დ. ანდღულაძე მუდამ ასრულებდა კ. სტანისლავსკის მითითებას, რომელიც ამბობდა, რომ „მსახიობის მუშაობის ცხრა მეათედი, საქმის ცხრა მეათედი ის არის, რომ სულიერად იგრძნოს როლი, ცოცხლობდეს ამ როლით; როცა ეს გაკეთებულია, როლი თითქმის მზად არის“. და ახლა, როცა სწავლობდა ახალ პარტიას, ნიჭიერი მომღერალი პირველ რიგში ყურადღებას აპყრობდა სახის მუსიკალურ დახასიათებას, გმირის შინაგანი სამყაროს რეალისტურ გახსნას მუსიკალურ-დრამატურგიული საშუალებებით. სწორედ ამიტომ დ. ანდღულაძის მიერ შექმნილი მუსიკალური სახეები ყოველთვის თავისუფალი იყო ოპერული შტამპისაგან.

ყოველივე ნათქვამს უნდა დავუმატოთ მომღერლის ხმის შესანიშნავი მონაცემები. ბუნებამ დ. ანდღულაძე დიდი ჭღერადობის დრამატული ტენორით დააჯილდოვა. იგი თავისუფლად, დაუძაბავად იღებდა ყველაზე მაღალ ნოტებს.

პარტიების მაღალ ტესიტურასთან დაკავშირებული სიძნელეები მისთვის საერთოდ არ არსებობდა. უნდა აღინიშნოს მომღერლის ხმის ტემბრის განსაკუთრებული თვისებაც — ლითონისებრი ხასიათი, რომელიც ბგერის არაჩვეულებრივ ინტენსიურობას იწვევდა. ამ თვისებათა შეხამება გმირულ ხასიათს აძლევდა მსახიობის მღერის მანერას. გავიხსენოთ მისი სამსონი სენ-სანსის ოპერა „სამსონ და დალილაში“, რადამესი „აიდაში“, ოტელო ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში, რაული მეიერბერის „ჰუგენოტებში“. მსოფლიო საოპერო კლასიკის ამ უძნელეს პარტიას დ. ანდღულაძე გარდა თბილისისა, დიდი წარმატებით ასრულებდა მოსკოვის დიდ თეატრში. ოპერა მიდიოდა ბრწყინვალე შემადგენლობით, რომელშიც მონაწილეობდნენ კ. გ. დერჟინსკაია (ვალენტინა), ვ. ვ. ბარსოვა (დედოფალი მარგო), მ. ო. რეიზენი (გრაფი დე სენბრი), ალექსანდრე პიროგოვი (მარსელი), ოპერას დირიჟორობდა ა. შ. მელიქ-შაბაევი.

1929 წელს დ. ანდღულაძე მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა და ჩაირიცხა ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის დასში. აქ მისი რეპერტუარი ახალი პარტიებით შეიავსო. ეს პარტიებია შოთა რუსთაველი დ. არაყიშვილის ოპერაში, ხოზე (ბიზეს ოპერა „კარმენი“), პინკერტონი (პუჩინის ოპერა „ჩიო ჩიო-სან“). გამოდიოდა რა თბილისის სცენაზე, ის საგასტროლოდაც დადიოდა ერევანში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, სადაც ფატმა მუხთაროვასთან „კარმენში“ მღეროდა.

1933 წელს დ. ანდღულაძე სოლისტად მიიწვიეს სსრ კავშირის დიდ თეატრში. აქ გარდა ზემოხსენებული ოპერა „ჰუგენოტებისა“, იგი წარმატებით მღეროდა თავისი რეპერტუარის ყველაზე ბრწყინვალე პარტიას — გერმანს „პიკის ქალში“, მანრიკოს — ვერდის ოპერა „ტრუბადურში“.

დიდ თეატრში დ. ანდღულაძემ ორი სეზონი იმღერა. 1935 წელს გამოწვეულ იქნა თბილისში ქართული ხელოვნების იმ დეკადის რეპერტუარის მოსამზადებლად, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში 1937 წლისთვის.

დეკადისათვის დ. ანდღულაძემ დირიჟორ ევგენი მიქელაძესთან ახლად მოამზადა აბესალომის პარტია. შეისწავლა მალხაზის როლიც ოპერა „დაისში“, რომელშიც დეკადის შემდეგ გამოდიოდა ლენინგრადში.

შემოქმედებითი სიმწიფის წლებში საოპერო თეატრში დაუცხრომელ მოღვაწეობასთან ერთად დ. ანდღულაძე ხშირად მართავდა კამერულ კონცერტებსაც.

1945 წელს დ. ანდღულაძე დაინიშნა თბილისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1946 წელს შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“ ტარიელის პარტიის შესრულებისათვის მას მიეკუთვნა პირველი ხარისხის სტალინური პრემია. 1950 წელს, ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავის დღესასწაულის დღეებში, მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

გამოჩენილი მომღერლის შემოქმედება რეალისტური და ღრმა ეროვნულია. კანტილენის ჩინებულად დაუფლება, გულთბილობა დიდ შინაგან ტემპერამენტთან ერთად, მუსიკალური ფრაზის დამთავრებულობა, სახესთან შერწყმის უნარი — აი რა ახასიათებს ამ ნიჭიერ მომღერალ-მსახიობს, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ქართული საოპერო ხელოვნება.

ამჟამად დ. ანდღულაძე მთლიანად გადავიდა პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. იგი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. აქ მან აღზარდა პლეადა მომღერლებისა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ საკავშირო და მსოფლიო კონკურსების ლაურეატები — ვოკალისტები, მისი შვილი ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, აგრეთვე ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მსახიობები გივი ტორონჯაძე, ლადო კანდელაკი, ამირან გაგუა, გივი გიორგაძე, ფილარმონიის სოლისტი ჯამლეთ ზარიძე და ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მსახიობი ეგვენია გურაშვილი.

ვუსურვოთ ძვირფას იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა მშობლიური ქართული ხელოვნების სასახელოდ.

დავით თორაძე,
კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

სურათებზე: დ. ანდღულაძე ტარიელის და ხოზეს როლებში.

სურათებზე: დ. ანდღულაძე მანრიკოს და რადამესის როლებში.

ბიბლიოგრაფია

სასარგებლო სახელმძღვანელო არქიტექტორებისა და მხატვრებისათვის

„ტექნიკა და შრომამ“ გამოსცა აქსონომეტრიის პერსპექტივისა და ჩრდილთა თეორიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გიორგი ცეცხლაძე. ამ წიგნის გამოცემით გადადგმულია ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საარქიტექტორო და სამხატვრო განათლების დარგში, რადგან გამოსახულებათა მეთოდების, განსაკუთრებით კი პერსპექტივისა და ჩრდილთა თეორიის სრულყოფილ შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა არქიტექტორებისა და მხატვრების აღზრდაში.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პრაქტიკული ვარჯიშისათვის განკუთვნილ გრაფიკულ მონაცემებს. თეორიული ნაწილი შეიცავს 200-მდე ნახაზს, რომელთა უმრავლესობა ორიგინალურია და წარმოადგენს თეორიული საკითხების თვალსაჩინო ილუსტრაციის ნიმუშებს; ავტორი შესანიშნავად იყენებს აქსონომეტრიულ გამოსახულებას, როგორც პერსპექტივისა და ჩრდილთა თეორიის სივრცობრივ გარდაქმნათა თვალსაჩინო წარმოდგენის საშუალებას. მართალია, ეს თვისება ახასიათებს ბევრ სხვა წიგნსაც, მაგრამ ტექსტისა და ნახაზების უაღრესად ლაკონიური დაკავშირება ავტორის უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამის შედეგია ისიც, რომ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგჯერ ცნობარის ტენდენციას ატარებს, რაც აადვილებს მის გამოყენებას არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ არქიტექტორებისა და მხატვრებისთვისაც.

წიგნის სუსტი ადგილია პერსპექტივის პრაქტიკული დაუფლება სახვითს ხელოვნებაში. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ეს საკითხი მისი შემდგომი მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

უდავოდ სასარგებლოა სივრცის რთული კომპოზიციების აგებისათვის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების გამოყენება, რაც გამართლებულია არა მარტო პერსპექტივის, არამედ აგრეთვე არქიტექტურის შესწავლისათვის.

ყოველივე ამის გამო ეს წიგნი ორიგინალური და ფრიად სასარგებლო ნაშრომია როგორც მასში მოცემული თეორიული კურსის მეთოდური სისტემის, ისე ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ქართული ნიმუშების გამოყენების მხრივაც.

შინაარსობრივ ღირსებებთან ერთად უნდა აღინიშნოს წიგნის კარგი გამოცემა, თუმცა ზოგიერთი ნახაზი პოლიგრაფიულად სუსტად არის შესრულებული.

პროფესორი ა. გულისაშვილი,
ბ. ლოლთქიფანიძე,
არქიტექტორი.

ქართული ხალხური ზღაპრები გერმანულ ენაზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობამ „ფულტურ უნდ ფორტშრიტ“ ბერლინში, გერმანულ ენაზე ახლახან გამოსცა ქართული ზღაპრების კრებული „ჯადოსნური ქუდი“.

კრებულში შეტანილია 49 ქართული ზღაპარი, მათ შორის ცნობილი და მეტად პოპულარული „რწყილი და ჭიანჭველა“, „ჯადოსნური ქუდი“, „ეშმაკი მელია“, „ზღაპარი გაუცინარ ხელმწიფეზე“, „გაქვავებული ქაბუკი“, „წიქარა“ და სხვ.

კრებულს დართული აქვს გერჰარდ გოსმანის ფერადი ილუსტრაციები.

კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მდიდარი ფანტაზიით, ფერების

სიუხვით და ხალხური სიბრძნით არის აღსავსე უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ზღაპრების საგანძური. ისინი მოგვითხრობენ ქართველი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ ჭირვარამზე, მათი ლტოლვის შესახებ ბედნიერებისა და უკეთესი მომავლისაკენ, გვიამბობენ უშიშარ გმირებზე, რომლებიც ძლევენ გველეშაპებს და ურჩხულებს, მოჯადოებულ მშვენიერ ქალწულებზე, რომლებიც თავისუფლდებიან ბნელი ძალების ტყვეობისაგან, ცხოველებზე, რომლებიც გაჭირვებაში დახმარებას უწევენ თავიანთ მეგობარ ადამიანებს.

აურაცხელი სიმდიდრეა ჯადოსნურ ქუდში, ელვისებური სისწრაფით ასრულებს იგი ყოველგვარ სურვილს, მაგრამ მხოლოდ მისია ეს სიმდიდრე, ვინც ჯადოსნური სიტყვა იცის. ჩვენი პატარა მკითხველებისათვის და მათთვის, ვისთვისაც ზღაპრების კითხვას სიხარული მოაქვს, გახსნილია ის საიდუმლოება, რომელიც ჯადოსნური ქუდის შესახებ ზღაპარშია მოთხრობილი, და ისინიც თითქოს იმ განძის მოზიარენი ხდებიან, რომელიც ასე სასოებით შემოუნახავს ქართველ ხალხს უძველესი დროიდან“.

ლ. სადრაძე.

ქართული რომანსები ვ. დავიდოვას შესრულებით

რსფსრ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვერა დავიდოვა უკვე კარგა ხანია დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისის საზოგადოებაში. 15 წელზე მეტია, რაც გამოჩენილი რუსი მომღერალი ქალი მონაწილეობს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითის ცხოვრებაში. ვ. დავიდოვას მიერ ამას წინათ გამართული ორი კონცერტი საქართველოს მუსიკალურ-ცხოვრების პრინციპული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს. აქ მარტო ის გარემოება როდია, რომ ვ. დავიდოვამ მთელი თავისი პროგრამა მიუძღვნა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებას, — ამ მაღალხარისხოვანმა კონცერტებმა სულ სხვა შუქი მოჰფინა ახალ ქართულ სარომანსო მუსიკას, რომელზეც ჩვენს ფართო საზოგადოებრიობაში აქამდე არც თუ ისე სრული და სამართლიანი წარმოდგენა არსებობდა.

ახალი ქართული სარომანსო მუსიკის პროპაგანდა დიდხანს სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. ჩვენს მომღერლებს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ ისინი საერთოდ არ ასრულებენ ქართველ კომპოზიტორთა რომანსებსა და სიმღერებს; პირიქით, ამ ნაწარმოებებს საკმაოდ ხშირად ვისმენთ, განსაკუთრებით რადიოთი, მაგრამ მათს შესრულებაში ნაკლებად ჩანდა პრინციპული დამოკიდებულება, ხშირად ვისმენდით საშუალო და დაბალი ხარისხის სიმღერებს, ხოლო საუკეთესო ნაწარმოებთა შესრულება თითქმის შემთხვევით ხასიათს ატარებდა.

ვ. დავიდოვას დიდი მუშაობა გაუწევია ამისათვის, რომ შეძლებისამებრ შეერჩია საუკეთესო, შინაარსიანი ნაწარმოებები. შესრულებული რომანსების უმრავლესობაში იგრძნობოდა სიმღერის ოსტატის განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდგომა. ყოველი მთგანის შესრულებაში ვ. დავიდოვამ ჩააქსოვა დიდი კულტურა, ტემპერამენტი და სითბო. სავსებისმომა, რომ ორივე კონცერტზე განსაკუთრებული აღმფრენით იმღერა მან ის რომანსები, რომლებსაც მკაფიო ინდივიდუალური სახე და ეროვნული კოლორიტი აქვს. ღრმა დრამატიზმითა და მძლავრი ექსპრესიულობით აჟღერდა ა. ჩიმაკაძის რომანსები „იავნანა“ (აკ. წერეთლის სიტყვებზე) და „ნინო ჭავჭავაძეს“ (სიტყვები გ. ლეონიძისა). თავისებურად, არტისტული გზებით, თუმცა სხვადასხვაგვარად იმღერა ვ. დავიდოვამ ა. მაჭავარიანის „სხივო, მზეთამზის სახეო“ (დ. გურამიშვილის ტექსტზე), ფაქიზი გრძნობით შეასრულა მან რ. ლაღიძის მხუბუქ, აკვარელურ ტონებში გამოკვეთილი „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“ (გ. ლეონიძის ტექსტზე). კოლორიტულად გაისმა ნ. ნარიმანიძის „აღმოსავლური სიმღერა“ და „ტურფას“.

თუმცა მეორე კონცერტზე მომღერალმა არსებითად გაამეორა იგივე პროგრამა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ვ. დავიდოვას ამ მცირე შუალედში კვლავ უმუშავია ამ ნაწარმოებებზე, ხოლო ზოგიერთი მთგანი კი ახლებურად გაუხსნია. ა. მაჭავარიანის საუცხოო რომანსისათვის „სხივო, მზეთამზის სახეო“ დამახასიათებელია ამაღლებულობა, სიწმინდე და შეკავებული მღელვარება. პირველ კონცერტზე ვ. დავიდოვას სიმღერაში მეტი აღტკინება და ექსპრესია იყო, ხოლო მეორე შესრულება უფრო ახლოს იყო ავტორის ჩანაფიქრთან. შ. მშველიძის რომანსში „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“ გადამწყვეტია მკაფიოდ დამახასიათებელი, ეროვნული რეჩიტატივულ-დეკლამაციური საწყისი, რაც დიდ სიძნელეს უქმნის მომღერალს. ვ. დავიდოვამ იგი პირველად შეასრულა ჩვეულებრივი მღერადი მელოდიის ხასიათით, რისთვისაც საკმაო საფუძველი არ ჰქონდა, მეორედ კი სულ სხვაგვარად მიუდგა მას, და ამით ნაწარმოები გაცილებით უკეთ აჟღერდა.

საღამოებზე მოვისმინეთ აგრეთვე ო. ბარამიშვილის („ყვავილი“), რ. გაბიჩვაძის („აკაციები“ და „შევიშრობ ცრემლსა“), ვ. გოკიელის („ძიძას“ და „როს ბედნიერ ვარ“), ნ. გუდიაშვილის („ყაყაჩოები“), შ. თაქთაქიშვილის („მონასტერი ყაზბეგზე“ და „რისთვის მიყვარხარ“), ს. მირიანაშვილის „ნანა“ და „დავდივარ ღამე ბნელადა“, და ა. შავერზაშვილის („განშორება“ და „სად ხარ“) რომანსები. ყოველი მათგანის შესრულებაში ჩანდა მომღერლის წრფელი გულისხმიერება. პროგრამის გარეშე ვ. დავიდოვამ იმღერა შ. მშველიძის „თუშის ქალები“, რ. გაბიჩვაძის „რუსთავი“, კ. ფოცხვერაშვილის „ნანა“ და ვ. გოკიელის მიერ დამუშავებული „ციცინათელა“ (ქართული და რუსული ტექსტების შენაცვლებით).

მომღერალს აკომპანემენტს უწევდა მ. კამოევა, რომელსაც საერთოდ დიდი შრომა აქვს გაწეული ახალი ქართული საბჭოთა სარომანსო მუსიკის პროპაგანდისათვის.

ანტონ წულუკიძე.

თანამედროვეობის ყალბად ამსახველი სპექტაკლი

„ზვავი“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

მიმდინარე თეატრალური სეზონის პირველი ნახევარი დამთავრდა. ეს მეტად პასუხსაგები პერიოდი იყო ჩვენი რესპუბლიკის თეატრების მუშაობაში. ისინი გაცხოველებით ემზადებიან დიდი შემოქმედებითი გამოცდისათვის — საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის, რომელიც მარტის მეორე ნახევარში მოეწყობა მოსკოვში. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრმა ამ პერიოდში მაყურებელს უჩვენა თანამედროვეობის ამსახველი ორი ახალი სპექტაკლი — ვ. გაბესკირიას „გურიის მთები დაუთოვია“ და მიხ. მრევლიშვილის „ზვავი“.

თეატრის მისწრაფება იმისაკენ, რომ რეპერტუარი გაამდიდროს თანამედროვეობის ამსახველი ორიგინალური პიესებით, მისასალმებელი და მოსაწონია. მოსაწონია ისიც, რომ ნიჭიერმა ქართველმა დრამატურგმა მიხ. მრევლიშვილმა თავისი ნაწარმოები „ზვავი“ მიუძღვნა სოციალისტური სოფლის თემას, კერძოდ, ქართველ მეცხვარეთა შრომასა და ცხოვრებას.

„ზვავის“ ავტორს საპატიო მიზანი დაუსახავს: აჩვენოს მაყურებელს ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომასა და ცხოვრებაში, კერძოდ. წინააღმდეგობა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და მზარდს შორის — აჩვენოს ამ დაპირისპირებულთა ბრძოლაში ახლის უძლეველობა. ქვეყნის ჯანსაღ სხეულზე აქა-იქ იარად შემორჩენილ, საფუძველგამოცლილ ადამიანთა ზრახვებისა და მიზნების გარდუვალი დამარცხება.

როგორ დაძლიეს დრამატურგმა და თეატრმა ეს აქტუალური თემა? ნახა თუ არა მაყურებელმა სცენაზე ახლისა და ძველის ისეთი ჭიდილი, შეჯახება, რომელიც დაარწმუნებდა, დაეჯერებდა მას, რომ ძველი ცხოვრებისა და ყოფის გადმონაშთი აუცილებლად უნდა დამარცხდეს ძლიერ და უძლეველ ახალ ადამიანებთან ბრძოლაში?

ამ თვალსაზრისით თუ შევეხებით სპექტაკლ „ზვავს“, აშკარა გახდება, რომ სინამდვილის რეალისტურად ასახვისათვის ბევრრამ ვერ გაითვალისწინეს დრამატურგმა და თეატრმა. პიესის სიუჟეტი მელოდრამატულია, სიტუაციები ყალბი, გაუგებარი და ხელოვნური. სპექტაკლში არ იგრძნობა თანამედროვეობის სიდიადე. სოფელი, ამ სოფელში მცხოვრები ადამიანები ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ბურუსში იმყოფებიან. მართალია. მათს საუბარში ზოგან გაისმის სიტყვები ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ, კოლმეურნეობისა და კეთილმოწყობილი ფერმის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. არსებითად მაყურებელი ვერ ხედავს იმ ცვლილებებს, რაც მთაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. პიესის შესავალში ვკითხულობთ: „მოქმედების დრო — მეხუთე ხუთწლედი“. ეს თანამედროვეობის უახლოესი პერიოდია. მოსალოდნელი იყო, რომ სპექტაკლის გმირები ორგანულად იქნებოდნენ დაკავშირებულნი დროის ამ მოსაკვეთთან, სცენაზე ვიხილავდით ადამიანებს, რომელთა მსგავსნი ამჟამადაც გვხვდებიან საკოლმეურნეო სოფელში. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. საკითხი ეხება უარყოფითი გმირის თინიბეგ უთურგაულის სახის დახატვას. ეს მგლური ზრახვებით აღჭურვილი, შეუნიღბავი, მაგრამ რატომღაც ყველასათვის შეუმჩნეველი მტერი თავისი გარეგნობით, შინაგანი განცდებით, მოქმედებითა და მსჯელობით ოცდაათიანი წლების განწირული კლასის — კულაკობის ტიპიური წარმომადგენელია. როგორც ვიცით, მაშინ კულაკები ჯერ კიდევ იარაღით ხელში იბრძოდნენ, მათი ზრახვები, ანტისაოლმეურნეო მოქმედება თითქმის აშკარა იყო. კულაკებს მაშინ კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდათ. მაგრამ გაიიდა წლები. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობა მოისპო როგორც კლასი. ამის შემდეგ თინიბეგ უთურგაულის მსგავსი ადამიანები შეინიღბნენ. ისინი კულაკს არც გარეგნულად ჰგვანან და არც მოქმედებით. ეტყობა. ეს ისტორიული სინამდვილე ვერ გაითვალისწინეს სპექტაკლის ავტორებმა. ამიტომ არის ხელოვნური და დაუჯერებელი უთურგაულის, ამ შეუნიღბავი მგელკაცის ასე თავაღებული თარეში სოფელში.

სპექტაკლში საკოლმეურნეო სოფლის აღმავლობისათვის ბრძოლა დაკისრებული აქვთ დადებით გმირებს: ლელას, ამირან რაინაულს, გოჩა მინდელს და სხვებს. ისინი დღევანდელი საკოლმეურნეო სოფლის ახალი ადამიანები არიან... სპექტაკლში მოქმედ გმირთა შორის დროის ხელოვნურ ნაპრალს კიდევ უფრო აფართოებს ის ფაქტი, რომ დრამატურგს უთურგაულის — ამ შემორჩენილი „კულაკის“ სახის დასახატავად არ დაუზოგავს საღებავები, დრამატული ოსტატობა, ხოლო დადებითი გმირების სახე ერთი ფერით, უღიმღამოდ მიმოუხაზავს. ეს დადებითი გმირები თავიანთი მოქმედებით ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი, და თუ მხატვრულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, უბადრუკნი, უმწეონი არიან, როცა სცენაზე თინიბეგი გამოჩნდება.

პიესის ეს ნაკლი კიდევ უფრო გაუღრმავებია თეატრს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა მაშინ, როცა თინიბეგის როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე.

როცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იდგმებოდა ეს პიესა და თინიბეგის როლს ასრულებდა ს. ზაქარიაძე, რეცენზენტები მიუთითებდნენ: ს. ზაქარიაძის მიერ განსახიერებული თინიბეგის სახე ზედმეტად სადავო იყოს, მაგრამ იმდენად ორიგინალურად და მონდომებით არის დამუშავებული, რომ არ შეიძლება მაყურებელი არ დაინტერესოს, არ ააღელვოსო. მაგრამ ეს აზრი მცდარია. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმა „ზვავი“ თავის დროზე ჩვენმა პრესამ, მათ შორის გაზეთმა „კომუნისტმა“ არასწორად შეაფასეს. მთელ რიგ რეცენზიებში გაზვიადებულია პიესისა და სპექტაკლის დადებითი მომენტები, ხოლო უარყოფითი მხარე სრულიად მიჩქმალულია.

თინიბეგის სახის გახსნის სადავო მხარე უფრო მუქი გამოჩნდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. თუ ს. ზაქარიაძის თინიბეგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საერთო ანსამბლიდან ოდნავ იყო ამოვარდნილი, ამჟამად მსახიობი გადაჭარბებულ ინდივიდუალობას იჩენს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ს. ზაქარიაძე ცალკე, დამოუკიდებლად მუშაობდა როლზე და სხვა მსახიობები ცალკე. მართალია, ს. ზაქარიაძე დიდი შემოქმედებითი პოტენციის მსახიობია, მას კარგად შეუსწავლია მთიანი საქართველოს ცხოვრება, თინიბეგის სახეში ბევრი საჭირო დეტალი შეუტანია, საინტერესოდ დაუმუშავებია თავისი გმირის ყოველი ქმელი, ხმის ინტონაცია. მაგრამ ამავე დროს მსახიობს ხშირად ღალატობს ზომიერების გრძნობა. იგი მეტად ამუქებს ფერებს, ზოგჯერ გაუმართლებელ გროტესკს მიმართავს.

ჩვენი დრამატურგები ხანდახან მეტი სიძლიერით, მონდომებით და ოსტატობით გვიხატავენ უარყოფითს გმირებს, ვიდრე დადებითს. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს ნაკლი ვერ ასცდა „ზვავსაც“. თინიბეგ უთურგაული მოექცა მთელი პიესის ცენტრში (სპექტაკლში ეს უფრო გაძლიერებულია), ხოლო სხვა სახეები, სხვა ხასიათები დაჩრდილულია.

უპირველეს ყოვლისა ეს უნდა ითქვას თინიბეგთან დაპირისპირებულ ახალ ადამიანზე — ამირან რაინაულზე. ამ სახეს აკლია ის ცოცხალი, ბუნებრივი ფერები, რომლებითაც ავტორმა ასე ჭარბად შეამკო თინიბეგი. ამირანის სახე მშრალია, ცივი, ეპიზოდური, მაშინ როცა დრომოჭმულ ძალასთან ბრძოლაში ამირან რაინაულს გადამწყვეტი როლი ენიჭება.

ამირანი ლელასთან ერთად შეუდგა კოლმეურნეობის გამოცოცხლებას, ცდილობს თინიბეგის მიერ ჩაშლილი საქმე გამოასწოროს. მაგრამ მთელი ეს საქმიანობა, ის, რამაც ამირანის ხასიათს ძალა უნდა შემატოს, მხოლოდ კულისებში ხდება.

დამაჯერებელი არ არის ის მოტივები, რომელთა გამო ამირანი გულუბრყვილოდ მისდევს ხასპიწოლის მთაზე თავის მტერს თინიბეგს. ზვავმა გადაწყვიტა თინიბეგის ბედი, შემთხვევამ იხსნა ამირან რაინაული. კონფლიქტის ამგვარი სიმბოლიკური გადაჭრა მოკლებულია დამაჯერებლობას, მოქმედების განვითარების დიალექტიკას. თინიბეგი იმიტომ კი არ უნდა მარცხდებოდეს, რომ ზვავიანში თავის ბოროტ ზრახვებს უკანასკნელი ვაჟიც — გეგაც შესწირა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში, საბჭოთა ადამიანებს შორის უთურგაულის მსგავს მგელკაცებს ადგილი აღარა აქვთ, ისინი განწირული არიან თვით საზოგადოების მიერ, ისტორიული აუცილებლობის მიერ.

მართალია, დრამატურგს არ გამორჩენია მწყემსებისა აღშფოთება, როცა თინიბეგის წინასწარგანზრახვითა და მისი მლიქვნელების ხელშეწყობით ცხვარი იღუპება... ლელა, ამირანი სხვებთან ერთად კიცხავენ თინიბეგს, მაგრამ ამ გაკიცხვას აქტიური მოქმედება აკლია და სწორედ ეს და არა შემთხვევითი ამბავი უნდა იყოს ნაჩვენები და გადაჭრილი პი

ჰელსინკიდან ბრიუსელში

კილის არხი მოკლე გზით აერთებს ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს. არხს შესასვლელთან და გასასვლელთან აქვს რაბები, რომლებიც მას იცავენ ზღვების გამანადგურებელი მოქმედებისაგან.

კილის არხის გავლას ჩვენ თითქმის მთელი დღე მოვანდომეთ, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეთვალიერებინა დასავლეთ გერმანიის რაიონი. გავედით ჩრდილოეთის ზღვაში და გავყევით ნიდერლანდის სანაპიროებს. ეს სანაპიროები დაცულია მაღალი ჯებირებით, რადგან ნიდერლანდის ტერიტორია ამ რაიონში ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს.

გაეიარეთ რა ჩრდილოეთის ზღვა, მივადექით დასავლეთ შელდის შესასვლელს, სადაც შემოგვხვდა ანტვერპენიდან მოსული ბელგიელი ლოცმანი, რათა ჩვენი გემი მიეყვანა ანტვერპენამდე. მარჯვნივ უკვე გამოჩნდა ანტვერპენი, მისი გარეუბნები. აი ის ადგილებიც, სადაც გადაღებულია კინოფილმი „თოლიები კვდებიან ნავსადგურში“. ნავსადგურში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი ჩვენს შესახვედრად: ჯერ არც კი ვიყავით ჩამოსული გემიდან, როცა დაიწყო სუვენირების გაცვლა ჩვენსა და ანტვერპელებს შორის.

ბრიუსელი. ბრუკერის მოედანი.

* * *

მეორე დღეს ავტობუსებით გავემგზავრეთ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. გზაში, ანტვერპენიდან 18-20 კილომეტრზე, დავათვალიერეთ გერმანელი ოკუპანტების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკ ბრენნერკის ადგილი.

ბელგიაში ბევრი ქალაქია, რომლებიც მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით. ბელგიას მხატვრების ქვეყანას უწოდებენ. აქ მხატვრები უფრო მეტია, ვიდრე პოეტები. ბრიუსელისაკენ გზაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვიწრო და 2-3 სართულიანი სახლები. ბელგიელი მიწის ნაკლებობის გამო ცდილობს უფრო სართულებს მოუმატოს, ვიდრე სახლის სიგანეს.

...ბრიუსელის ზრდა განსაკუთრებით გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. 1914-1918 წლების ომის დროს ბრიუსელი, ისევე როგორც მთელი ბელგია, დაპყრობილ იქნა გერმანელების მიერ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბელგია კვლავ მთლიანად იქნა ოკუპირებული ფაშისტური გერმანიის მიერ. ბრიუსელში გერმანელებმა დახურეს უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. ოკუპაციის დროს გერმანელებმა ათასობით ბელგიელი პატრიოტი დახვრიტეს.

ბრიუსელში შევედით ადოლფ მაქსის ბულვარით — ქალაქის ერთ-ერთი მთავარი არტერიით. გავედით ბრუკერის მოედანზე სასტუმრო „მეტროპოლთან“ და ოპერის თეატრთან, რომელიც აგებულია 1817 წელს. სწორედ აქ დაიწყო ეროვნული აჯანყება 1830 წლის 24 აგვისტოს, ამ ღამეს ოპერაში მიდიოდა „მუნჯი პორტიჩიდან“. იმ მომენტში, როცა სცენაზე სრულდებოდა სიმღერა სამშობლოსადმი სიყვარულზე, დარბაზში დაიწყო მღელვარება, რომელიც მალე გავრცელდა ოპერის გარეთ და მოედო მთელ ქალაქს. ამ ოპერის სცენაზე ევროპაში პირველად უჩვენეს ბოროდინის „თავადი იგორი“.

დავათვალიერეთ წმ. მიშელისა და წმ. გუდუილის ტაძარი. 1000 წელს აქ ბორცვზე იყო წმ. მიშელის პატარა ეკლესია. გრაფებმა ლუვენელებმა ამ ეკლესიაში გადაიტანეს წმ. გუდუილის ნაწილი. XIII საუკუნეში პატარა ეკლესია დანგრეულ იქნა და მის ადგილზე დაიწყო დღევანდელი ტაძრის მშენებლობა. იგი შენდებოდა საუკუნეების განმავლობაში. XV საუკუნეში მას მიუშენეს ორი კოშკი.

ქალაქში ვნახეთ მუშათა გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. ბრიუსელის პოლიცია კი „თავისი მოწოდების სიმაღლეზე“ იდგა.

აი უცნობი ჯარისკაცის საფლავი. საფლავზე ანთია ჩაუქრობელი ალი. აქ დგას სპატიო ყარაული. საფლავი ყოველთვის შემკობილია გვირგვინით.

ეროვნული სასახლის — პარლამენტის შენობის მარცხენა მხარეზე მოთავსებულია დეპუტატთა პალატა, მარჯვენა მხარეზე — სენატი. ეროვნულ სასახლესა და მეფის სასახლეს შუა სამეფო პარკია. პარკის ერთ-ერთ კუთხეში დგას რუსეთის იმპერატორის პეტრე I ბიუსტი, რომელიც დადგმულია 1717 წელს ბრიუსელში მისი ჩასვლის გამო.

მართლმსაჯულების ანუ იუსტიციის სასახლე მშვენიერ არქიტექტურულ ნაშუშევარს წარმოადგენს. მას უჭირავს 26 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. მისი ვესტიბიული — „დაკარგული ნაბიჯების დარბაზი“ (მას ასე იმიტომ უწოდებენ, რომ დაზარალებული აქ ქირაობს ადვოკატს, ეძებს სიმართლეს, მაგრამ ამაოდ, მიზანს ვერ აღწევს) დიდია. სასახლის წინ დგას ძეგლი 1914-1918 წლების ომში დაღუპულთა პატივსაცემად.

ბრიუსელის მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გავედით ქალაქის ცენტრში. დიდ მოედანზე, რომელიც გარშემორტყმულია აღორძინების ეპოქის ფლამანდიურ სტილზე აგებული სახლებით. ამჟამად მოედნის ცენტრში ყვავილების ბაზარია.

მოედანზე გამოდის რატუშის წინა ფასადი. იგი აგებულია გოთური სტილით XV საუკუნეში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი აჟურული კოშკი, რომლის სიმაღლე 96 მეტრია. მასზე დგას წმ. მიშელის ქანდაკება. თვით ქანდაკება 5 მეტრის სიმაღლისაა.

დღევანდელი ბრიუსელი სახეს იცვლის. ძველ სახლებს ანგრევენ, ქუჩებს აფართოებენ და ახალ სახლებს აგებენ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აგებენ სასტუმროებს. ბელგიაში მრავალი ყავახანაა. თითქმის ყველას არჩეული აქვს „თავისი“ ყავახანა, სადაც იგი სისტემატურად დადის. წინასაარჩევნო კამპანია და სხვა მსგავსი ღონისძიებანი ყავახანებში ტარდება. ნაშუადღევს ჩვენ დავათვალიერეთ ბრიუსელის პარკები, განიერი და ვიწრო ქუჩები, ზოგმა მათგანმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ბელგიის კონგოს მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ ქ. მალინნში. ქალაქში აღსანიშნავია რატუშა და რომბოს ტაძარი (97 მეტრი სიმაღლისა), რომელიც აგებულია XIII საუკუნეში. ტაძარს სხვადასხვა ზომის 49 ზარი აქვს. ყველაზე დიდი 8 ტონას იწონის, ყველაზე პატარა — 800 გრამს. ამ ზარების საშუალებით ასრულებენ სხვადასხვა მელოდიებს. ქალაქში ამ ზარების რეკვის შემსწავლელი სკოლაა.

მალინიდან ისევ ანტვერპენში დავბრუნდით. ანტვერპენი მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქია ბელგიაში ბრიუსელის შემდეგ.

ანტვერპენი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. მას მესამე ადგილი უჭირავს ევროპაში ლონდონისა და ჰამბურგის შემდეგ. აქ ყოველწლიურად შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 74 ათასი გემი, რომლებსაც შეაქვთ 25 მილიონი ტონა ტვირთი.

XV-XVII საუკუნეებში ანტვერპენი ფლანდრიის სამხატვრო ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ გენიალური რუბენსი და მისი მოწაფეები. მათ თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს იმდროინდელი ანტვერპენის ცხოვრება. დავათვალიერეთ რუბენსის სახლ-მუზეუმი. აქ 20 ოთახია, სადაც გამოფენილია რუბენსისა და მისი მოწაფეების ნამუშევრები.

მდინარე შელდის ორივე ნაპირი ერთმანეთთან დაკავშირებულია სპეციალური გვირაბით. ეს გვირაბი ამერიკელებს გაუყვანიათ და ახლა ყველას ფულს ახდევინებენ იქ გასვლისათვის.

აი ხელოვნების დიდი მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ფლანდრიის მხატვრობის შედევრები... დიდ მოედანზე დგას სალვიუს ბრაბოს ძეგლი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის სახელის (ანტვერპენის) წარმოშობის ლეგენდასთან.

მეირის მოედანზე გადის ანტვერპენის მთავარი ქუჩა, სადაც თავმოყრილია მაღაზიები, რესტორანები, ყავახანები, კინოთეატრები. ამ ქუჩაზე მუდამ გაცხოველებული მოძრაობაა...

...დავბრუნდით გემზე. მესამე დღეს დილით დავტოვეთ ბელგია და გეზი საფრანგეთისაკენ ავიღეთ.

(გაგრძელება იქნება)

ი. ტაბაღუა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 4.

სოციალისტ ევროპელების ქვეყნების ჭრიჭინა მოგვითხრობს

Новая БОЛГАРИЯ

ბულგარელი მწერლის წიგნი კავკასიის შესახებ

როგორც ყურნალი „ნოვაია ბოლგარია“ იუწყება, ბულგარეთში გამოვიდა ახალგაზრდა მწერლის ლილიანა სტეფანოვას ახალი წიგნი „კავკასიის მწვერვალებ-ქვეშ“, რომელიც კავკასიაში მცხოვრები ხალ-

ხების ყოფაცხოვრებას, მათს ზნე-ჩვეულებებს ეხება.

მწერალს აურჩევია საგზაო ჩანაწერების ფორმა, რაც მას საშუალებას აძლევს ფართოდ დახატოს კავკასიის სურათი, უფრო დაწვრილებით შეეხოს კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკების ხალხების ცხოვრებას. ბუნების აღწერასთან ერთად ავტორი ეხება ცალკეული კუთხეების ისტორიას, გადმოგვცემს თქმულებებსა და ლეგენდებს. იგი დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ უდიდეს წარმატებებზე, რაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოიპოვეს ქართველებმა, სომხებმა, დაღისტნელებმა, ოსებმა და აფაზაზებმა. ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ხალხების ძმობასა და მეგობრობას.

„კავკასიის მწვერვალებქვეშ“ წიგნია უწინარეს ყოვლისა ადამიანების შესახებ. კავკასიის მომხიბლავ სილამაზეს, მის რომანტიკასა და თქმულებებს ეკსოვება მისი ადამიანებით გამოწვეული აღფრთოვანება.

წიგნი დაწერილია ცოცხლად და მიმზიდველად, გამსჭვალულია საბჭოთა ხალხებისადმი გულწრფელი სიყვარულით.

აღსანიშნავია, რომ სტეფანოვას მანამდეც ჰქონდა გამოქვეყნებული წიგნები, რომლებიც საბჭოთა ადამიანის შრომასა და ცხოვრებაზე მოგვითხრობენ. მის კალამს ეკუთვნის ვოლგა-დონის არხის მშენებლობისადმი მიძღვნილი წიგნი „ბედნიერი ცურვა“, აგრეთვე „მარად მემახსოვრები, უზბეკეთო“, რომელიც საბჭოთა უზბეკეთის ცხოვრებას ეხება.

ლილიანა სტეფანოვას ახალი წიგნი წვლილია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

НАРОДНАЯ РУМЫНИЯ

კომპოზიტორი... 4 წლისაა

საგუნდო ანსამბლის რეპეტიციებს ესწრება ორწლინახევრის გოგონა. გუნდი შეწყობილად მღერის, არავის არ შეაქვს დისონანსი, მაგრამ მასწავლებლის ყური მაშინვე ამჩნევს უცნობ ბავშვის ხმას. ხმა სწორად, სუფთად მუსიკალურად ეღერს.

— ეგ ვინ არის? ვინ მოიყვანა აქ?

— ეს ჩემი დ., სიმინა.

სიმინა სახლში ეძებს წუთს, როცა ფორტეპიანო ახდილია, და უკრავს მელოდიას, რომელსაც შესაძლოა საშუალო მუსიკალური სკოლის ყველა მოსწავლე ვერ დაძლევდა. ოღონდ ხელი ჯერ კიდევ პატარაა და ვერ ასრულებს იმას, რასაც ყური ისმენს და მოითხოვს.

დრო გადის. ზამთრობით იგი დიდხანს უყურებს, თუ როგორ ცვივა ფარფატით თოვლის ფანტელები. ეს ვალსის მელოდიად — „ფანტელების ცეკვად“ ჩაესმის. გოგონა ოთხი წლისაა.

სიმინა პოპესკუ მუსიკის მასწავლებელ ლიდია კრისტიანთან და კომპოზიტორ ალფრედ მენდელსონთან წაიყვანეს. იქნებ ეს ახალი მოცარტია? ეს საკითხი უფროსებს აინტერესებთ, სიმინა პოპესკუ კი მოკრძალებით უკრავს კუთხეში. უფროსებმა გადაწყვიტეს: სიმინა სერიოზულად უნდა ჩაუჯდეს ფორტეპიანოს, და კიდევ: როგორც ყველაზე ახალგაზრდა კომპოზიტორს, მას სტიპენდია ეკუთვნის.

ერთხელ ნასადილევს რადიო ჩავრთე. გაისმა დიქტორის ხმა: „... დღეს გაგაცნობთ რუმინეთის ყველაზე პატარა პიანისტსა და ყველაზე ნორჩ კომპოზიტორს — სიმინა პოპესკუს. იგი დაუკრავს თავის ერთ-ერთ პიესას“. ასეთი პიესა მას უკვე ოთხი აქვს.

თავი დავანებოთ მაღალფარდოვან ეპითეტებს. უბრალოდ წარმოიდგინეთ ორი პაწაწა ხელი ფორტეპიანოს კლავიატურაზე, სერიოზული სახე, ბავშვის ამობურცული შუბლი. სიმინას ახალი მელოდია ესახება...

ჟურნალი „ნაროდნაია რუმინია“, № 12, 1957 წლის დეკემბერი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბერლინი, 4 იანვარი. (საკადესი). ადნის სააგენტომ, იმოწმებს რა რადიოსადგურ „ფრაიჰაიტსზენდერ 904“-ს, გადმოსცა კომუნიკე გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. პლენუმის ყურადღების ცენტრში იყო საკითხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულის შედეგების შესახებ და კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების შესახებ.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის პოზიცია მოსკოვის თათბირებზე. ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებაში ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ სავსებით ეთანხმება სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება მოსკოვის თათბირების შედეგებს, როგორც იმის დადასტურებას, რომ შემდგომ მტკიცდება სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტური და მუშათა პარტიების მარქსისტულ-ლენინური დარაზმულობის წარმატებას.

თავის გადაწყვეტილებაში გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი შეისწავლონ პარტიის ყველა ხელმძღვანელმა ორგანომ და ძირეულმა ორგანიზაციებმა, საჭიროა ისინი გადაიქცნენ პარტიის საქმიანობის კანონად. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს: დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განემარტოს მოსახლეობას ამ ისტორიულ დოკუმენტთა შინაარსი და მნიშვნელობა, აგრეთვე საჭიროა მოეწყოს ბრძოლა მშვიდობისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოუწოდოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას, გერმანიის მთელ მშვიდობიმოყვარე ძალებს იბრძოლონ ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატომური და რაკეტული იარაღის განლაგების წინააღმდეგ, ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნისათვის.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ცენტრალური პარტიული საკონტროლო კომისიის შექმნის შესახებ.

ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 4 იანვარი. (საკადესი). დღეს საღამოს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა ლონდონის რადიოთი წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, მიძღვნილი ინგლისის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემებისადმი. მაკმილანი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ინგლისის მთავრობა აჰორციელებს. მან, კერძოდ, თავშეუკავებლად შეაქო ნატო და ატომგულის იარაღი როგორც ყბადაღებული „შემაკავებელი ფაქტორები“. მაკმილანის სიტყვით, წყალბადის ბომბი „უშიშროების საუკეთესო გარანტიაა“, ხოლო ნატოს ერთადერთი ამოცანა — ეს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვაა. მაკმილანი აგრეთვე ყოველმხრივ ამართლებდა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებას —მისცეს ინგლისის ტერიტორია ამერიკას რაკეტული იარაღის განლაგებისა და იმისათვის, რომ ინგლისში იფრინონ ამერიკის ბომბდამშენებმა წყალბადის ბომბებით, რომლებიც, მაკმილანის სიტყვით, „უზრუნველყოფენ ინგლისის თავდაცვითი სისტემის საიმედოობას“.

თავის სიტყვაში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა დაუშვა აგრეთვე უხეში ანტისაბჭოთა გამოხდომები და დაამახინჯა სინამდვილე, ამტკიცებდა რა, რომ საბჭოთა კავშირმა თითქოს დაიმორჩილა ბალტიისპირეთის ქვეყნები და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომ თითქოს სწორედ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არის საერთაშორისო დაძაბულობის წარმოშობის მიზეზი და რომ საბჭოთა კავშირი თითქოს მხოლოდ ლაპარაკობს თავის სურვილზე მიაღწიოს დაძაბულობის შენელებას, საქმით კი არაფერს აკეთებს ამისათვის.

მაკმილანმა არაფერი თქვა იმ კონსტრუქციულ წინადადებებზე, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის რაც შეიძლება მალე შენელება და ატომური ომის საფრთხის აღკვეთა, რომელსაც შეიცავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის ამასწინანდელი წერილები მისდამი.

მაგრამ მაკმილანმა აღუთქვა თავის მსმენელებს, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს „კვლავაც ესწრაფვოს მიაღწიოს შეთანხმებას რუსებთან“. მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, განაგრძობდა მაკმილანი, არის ორი გზა — ნატოს ძლიერების განმტკიცების გზა და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გზა.

„ჩვენ შეგვეძლო დაგვეწყო იმით, — განაცხადა მაკმილანმა, — რომ დაგვედო საქვეყნო პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ. ეს კეთდებოდა წინათ. ეს ზიანს არ მოიტანდა და შეეძლო სარგებლობის მოტანა.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას ატომგულის იარაღის გამოცდის, მისი გამოყენებისა და მისი რაოდენობის შესახებ. ჩვენ აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ეგრეთწოდებული ჩვეულებრივი იარაღები. მაგრამ ძალა არ შეიძლება სიტყვით შეეზღუდოთ. ჩვენ გვჭირდება აგრეთვე საქმენი“.

მ ო კ ლ ე დ

◉ ინგლისის ზღვისპირა ქალაქ საუთენდში გაიხსნა საბჭოთა გრაფიკის გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ნახატის, აკვარელის, გრავიურისა და ლითოგრაფიის 14 გამოჩენილი ოსტატის ნამუშევრები.

◉ ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ საკონცერტო დარბაზში „კარნეგი ჰოლში“ ნიუ-იორკის ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა ცნობილი დირიჟორის ლეონარდ ბერნშტეინის ხელმძღვანელობით შეასრულა დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კომპოზიტორის ნაწარმოების შესრულებას.

◉ ბუენოს-აირესის ორი უდიდესი კინოთეატრი — „ლიბერტადორი“ და „კასინო“ უჩვენებენ ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა კინოფილმს „ჯავშნოსანი პოტიომკინს“. ფილმს დიდი წარმატება აქვს.

თბილისის „დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურავი აუზი ახალგაზრდობის საყვარელი ადგილია. აქ ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ასპარეზობა ცურვასა და წყალბურთში, მიმდინარეობს წვრთნა. 250-მდე ნორჩი დინამოელი ეუფლება აუზში ცურვის ტექნიკას, სტილს. მათ უმრავლესობას სპორტული თანრიგი აქვს. ვარჯიშს ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი მწვრთნელები.

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ნორჩი დინამოელები ლ. ასანიშვილი, ნ. თავდგირიძე და ვ. ნარიმანიძე გადიან წვრთნას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო საზამთრო სესიები

გუშინ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო საზამთრო საგამოცდო სესიები. ფილოლოგიის, ისტორიის, ქიმიის, მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკისა და სხვა ფაკულტეტებზე გამოცდებს აბარებს 4.000-ზე მეტი სტუდენტი.

წარმატებით მიმდინარეობს სესია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქ გამოცდებისთვის მზადება ადრე დაიწყო. სტუდენტებისათვის სისტემატურად ეწყობოდა კონსულტაციები ყველა სასწავლო დისციპლინაში, მასწავლებლები ეხმარებოდნენ აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტებს, მოიწყო დამატებითი მეცადინეობა ყამირ მიწებზე ნამყოფი სტუდენტებისათვის. ამჟამად საზამთრო სესიებს აქ აბარებს 1.277 მომავალი აგრონომი და მექანიკოსი.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის, ბუნებისმეტყველების, სომხური და აზერბაიჯანული ფილოლოგიისა და ისტორიის, დაწყებითი განათლებისა და სხვა ფაკულტეტებზე საზამთრო საგამოცდო სესიებს აბარებს 1.700-მდე სტუდენტი. საგამოცდო სესიები მიმდინარეობს აგრეთვე თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ და დედაქალაქის სხვა ინსტიტუტებში.

აფერისტ-მძარცველთა ჯგუფი შეპყრობილია

ამას წინათ პერეკოპის ქ. № 78-ში მცხოვრებ ჭყონიას ბინაში უცნობი, საშუალო ხნის კაცი მივიდა და დისახლისს სხაპა-სხაპით აუწყა:

— მარიამ არტემის ასული ალბათ თქვენ ბრძანდებით. სამწუხარო ამბავს მოგახსენებთ, თქვენი ქმარი დაატაკიმრეს. მე მისი თანამშრომელი ვარ. საიდუმლოდ დამავალა გადმომეცა თქვენთვის, რომ ფული და ნივთები გადამალოთ. წაიღეთ სადმე, ნათესავებთან...

მარიამი დაეჭვა უცნობის ასეთმა განცხადებამ, მაგრამ ინსტინქტურად მაინც დაიწყო ტანსაცმლის, შესაკერი შალეულის, ძვირფასი საოჯახო ნივთების თავმოყრა.

საუბრის დამთავრებიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ჭყონიას ბინას ოთხი ახალი სტუმარი ეწვია.

— ოჯახისათვის უკვე შეუტყობინებიათ, რომ ჩხრეკა იქნებოდა, — ჩაილაპარაკა ერთმა, და დაიწყო თავმოყრილი ნივთების, ტანსაცმლისა და ფულის აღწერა თითქოს მილიციის განყოფილებაში წასაღებად. ნამდვილად ფული და საოჯახო ნივთები ბოროტმოქმედებმა თავიანთ გზას ვაუყენეს. აფერისტ-მძარცველთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა გაურკვეველი პროფესიის პირი, წინათ სხვადასხვა დანაშაულისათვის ნასამართლევი ი. თოხაძე. ჯგუფში შედიოდნენ მრავალგზის ნასამართლევი ო. აბაშმაძე, თ. ბიტმირჩი, იგივე ბუტბურდი, აზიზ რაგიმ ოღლი და გ. ნალბანდიანი.

მსგავსი მეკინაციებით მათ თბილისში რამდენიმე ბინის გაძარცვა მოახერხეს. ი. თოხაძე უთვალთვალებდა რომელიმე შეძლებულ ოჯახს, სწავლობდა მის წევრებს, მათ სამუშაო ადგილებს, სამსახურიდან დაბრუნების დროს, ნათესავების ვინაობას და მოხერხებულ მომენტში, როცა მხოლოდ დისახლისი დარჩებოდა სახლში, სხვადასხვა ფანდების გამოყენებით ჯგუფის წევრებს ოჯახიდან გაჰქონდათ ფული და ძვირფასი ნივთები. უკანასკნელ ხანებში მათ ასეთი ხერხსაც მიმართეს: დაამზადეს და გამოიყენეს გაჩხრეკის ყალბი ოქმები და სხვა საბუთები.

ნაძარცვის გადასატანად ბოროტმოქმედები იყენებდნენ „საქყველკარაქმრეწვის“ ავტომანქანას, რომელსაც მართავდა მძღოლი ს. მენთეშაშვილი.

თბილისის ქალაქის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა ს. მამულოვმა, შ. პოდაროვმა და მ. ნიკოლაიშვილმა ამ დღეებში დანაშაულის ადგილზე შეიპყრეს აფერისტ-მძარცველთა ყველა მონაწილე.

შ. ჯანუაშვილი.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 9 იანვარს.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის — ქარიმშლილანი წელი, **სომხური დრამის** — ცამველი (დილას), როგორ მოვათვინიეროთ ცოლი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — კონცერტი (დილას), კომბლე (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (აბონემენტი № 9, 10 ს., აბონემენტი № 4, 2 ს.), გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 43, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრების შესახებ (11 ს. და 2 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.), **ფილარმონია** — ახალგაზრდობის საახალწლო საღამო (საზამთრო თეატრი, 8 ს.).

საწარმოო კოოპერაციის კულტურის სახლში (პირველი მაისის ქ. № 10) 1958 წლის 10 იანვარს მოწვეულია წითელი დროშის ორდენოსანი არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმემწყობი სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების (**დოსააფის**) **საქართველოს მეორე რესპუბლიკური კონფერენცია.**

დღის წესრიგი:

1. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსააფის) საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.
3. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსააფის) საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

დოსააფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

კონსტანტინე დიომიდეს ასულ ცისკარიძის

გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილები გუგული, ეთერ, სიძეები ბ. დოლიძე, შ. გაჟონია ოჯახებით; რ. სარალიძე იუწყებიან

არჩილ ნიკოლოზის-ძე ბაგრატიონის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-I, 8 ს. გამოსვენება 9-I, 4 ს. ძნელაძის ქ. № 18.

მეუღლე ნინო, შვილები გია, ლია, ძმები შალვა, ინოკენტი, რძლები ნადეჟდა, დესია ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ ივანეს-ძე კარტოზიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-I, სოფ. ჯოლუაში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ლუბა, შვილები დოდო, შოთა, რევაზ, დები ბაბილინა, ნადია, რძალი თამარ იუწყებიან

ისიდორე სერაფიონის-ძე თოფურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-I, 7 ს. გამოსვენება 9-I, 4 ს. მოსაშვილის ქ. № 16 (ვაკე).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან

ელენე გიორგის ასულ მაჭავარიანის

გარდაცვალებას.

მეუღლე მელენტი, შვილები ომერ, ოთარ, დები ელენე შუბითიძე, ნინო კაიშაური, ტასო პატარაძე ოჯახებით იუწყებიან

ვარვარა ესტატეს ასულ ფილიპიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-I, 8 ს. გამოსვენება 9-I, 4 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 9.

მეუღლე ვლადიმერ ცხონდია, შვილები ივანე, ნადია, რძალი ტ. აბულაძე, სიძე შ. დათუნაშვილი, ძმა პ. ლეჟავა ოჯახებით იუწყებიან

ლიდა ცხონდია-ლეჟავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-I, 8 ს. გამოსვენება 9-I, 3 ს. ბრძოლის ქ. № 9.

მეუღლე ნინო, შვილები ალექსანდრე, ეთერ, ჟუჟუნა, ცალა, ნოდარ, ცუცა, ლია, დები ლიზა, მანანა, ძმები ვასილ, არჩილ, გიორგი ოჯახებით; იასონ მოსეშვილი იუწყებიან

დავით ბართლომეს-ძე მოსეშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-I, სოფ. გუბაში (წულუკიძის რ.).

მეუღლე აკვილინა; იოსებ, ქრისტეფორე, ნიკოლოზ, ქანია გიორგაძეები ოჯახებით იუწყებიან ექიმ

აკაისერ თეიმურაზის-ძე ხურციძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-I, 8 ს. გამოსვენება 9-I, 3 ს. საქანელის ქ. № 25

შვილები შალვა, კალენიკე, რძლები მარიამ, გოგუცა ოჯახებით; საშა, ანდრო, ნიკოლოზ ბასილაიები იუწყებიან

ალექსანდრე ანდრიას-ძე შეყრილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-I, სოფ. ვარდიგორაში (თერჯოლის რ.).

საქართველოს სსრ სხატვართა კავშირი და საქართველოს სამხატვრო ფონდის გამგეობა იუწყებიან საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

**ოთხვა ადოლფის-